სტუდენტური კონფერენცია

„კავკასია გზაჯვარედინზე - რეგიონული სტაბილურობის გამოწვევები“

2016 წლის 11 ივნისს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში ჩატარდა **შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტისა და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერისტეტის მე–4 ერთბლივი სტუდენტური კონფერენცია „კავკასია გზაჯვარედინზე - რეგიონული სტაბილურობის გამოწვევები“.** კონფერენციის მიზანი იყო სხვადასხვა პროფესიის ახალგაზრდებში ცოდნის ამაღლება, მომავალი ლიდერებისა და მკვლევარების შეკრება და კავკასიის რეგიონულ სტაბილურიბაზე დიალოგის ხელშეწყობა. კონფერენციაში მონაწილეობის მიღება შეეძლოთ ბაკალავრიატის მე–3 და მე–4 კურსის სტუდენტებსა და მაგიტრანტებს.

კონფერენციის სამუშაო თემები იყო:

საერთაშორისო ურთიერთობები: კავკასია და ზესახელმწიფოების ინტერესთა კონფლიქტი - რეგიონული უსაფრთხოების გამოწვევები;

საჯარო ადმინისტრირება: საჯარო სექტორის რეფორმირება: საერთაშორისო გამოცდილება და არსებული გამოწვევები;

ეკონომიკა: ეკონომიკური რეფორმები, ეკონომიკური პოლიტიკა და ბიზნესის განვითარება კავკასიის რეგიონში;

სამართალმცოდნეობა: კანონის უზენაესობა, დემოკრატიისა და ადამიანის უფლებათა საკითხები კავკასიაში;

სოციოლოგია: საზოგადოებრივ აზრთა ფორმირების პროცესი კავკასიის რეგიონში და გამოწვევები სამოქალაქო საზოგადოებისთვის.

კონფერენცია მიმდინარეობდა ქართულ და ინგლისურ ენებზე და მუშობდა 4 სესია. თითოეულ სესიას ჰყავდა შესაბამისი დისციპლინის აკადემიური კომისია. კომისიის წევრების შეფასებებით გამოვლინდნენ გამარჯვებულები, რომლებსაც სერტიფიკატები და „თბილისის მოლის“ 100 ლარიანი სასაჩუქრე ვაუჩერები გადაეცათ.